საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 573 2018 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილებაში (სსმ, №86, 15/07/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ მუხლში მოცემული ცხრილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შპს „საქართველოს საერთაშორისო	გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე

ენერგეტიკული კორპორაცია“	გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**